

პ რ ძ ა ნ ე ბ ა

04 ფებრუარი 2016 წ.

თბილისი

№ 196/01

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორების
უფლებამოსილებათა განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6, მე-9 პუნქტების საფუძველზე ვიცე-რექტორების უფლებამოსილებათა განსაზღვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. რექტორი, წარმოადგენს რა უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურსა და სამეცნიერო სფეროებში, უნივერსიტეტის სახელით დებს გარიგებებს და შეთანხმებებს, ახორციელებს აკადემიურ და შემოქმედებით საქმიანობას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, ვიცე-რექტორების მეშვეობით, საჭიროა განისაზღვროს თითოეული ვიცე-რექტორის უფლებამოსილება შემდეგი სახით:

1.1. ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით:

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, განვითარება, რომელიც მოიცავს, როგორც ერთსაფეხურიან პროგრამებს, ასევე საბაკალავრო, სამაგისტრო და ნაწილობრივ სადოქტორო პროგრამებს;

ბ) სტუდენტთა რეგისტრაციის შიდა და გარე მობილობის პროცესის სწორად წარმართვის უზრუნველყოფა;

გ) მკაცრი აღრიცხვის სასწავლო დოკუმენტაციის გაცემა-შენახვის პროცესის მართვა;

დ) სტუდენტთა შეფასების სისტემის მართვა;

ე) გამოცდების პროცესის კოორდინირება;

ვ) დისციპლინისა და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა;

ზ) უნივერსიტეტის შინაგანაწესის და ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებაზე ზედამხედველობა;

თ) აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა ადმინისტრაციის მიერ მითითებული პროგრამით ან ადმინისტრაციის ინიციატივით მოწყობილი ატესტაციის მეშვეობით;

ი) სასწავლო და საკომუნიკაციო რესურსების მართვა-კოორდინირება (სახელმძღვანელოები, აღრიცხვის ელექტრონული მოდული, მათ შორის ბიბლიოთეკისა და ვებ-გვერდის - აკადემიური მიმართულებით);

კ) ზედამხედველობის განხორციელება შემდეგი ცენტრების საქმიანობაზე: საგამოცდო ცენტრი, კლინიკური უნარ-ჩვევების და სიმულატორების ცენტრი, ანატომიური თეატრი, საოჯახო მედიცინის ცენტრი, უცხო ენების ცენტრი, ქართული ენის ცენტრი, მოსამზადებელი ცენტრი, სპორტისა და ხელოვნების ცენტრი;

2. ვიცე-რექტორი სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით:

ა) სამეცნიერო მუშაობის პოლიტიკის განსაზღვრა და მართვა, მათ შორის: საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების კვლევითი პროექტები, კვლევის ინტერნაციონალიზაცია, კვლევითი პროექტების განსახორციელებლად საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა, ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ხელშეწყობა;

ბ) კოორდინაციას უწევს: დოქტორანტურის სამსახურის -სადოქტორო პროგრამის კვლევით კომპონენტთან მიმართებაში, სადისერტაციო საბჭოების, სამეცნიერო უნარ-ჩვევების სწავლების ცენტრის, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის საქმიანობას და ამ საქმიანობის ამსახველი მასალის განთავსებას თსსუ-ის ვებ-გვერდზე.

ვ) ზედამხედველობს იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის და ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობას;

დ) ხელმძღვანელობს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას;

ე) უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების შექმნას, რაც გულისხმობს წვდომას საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ელექტრონული ჟურნალების ბაზებსა და პუბლიკაციებზე;

3. ვიცე-რექტორი კლინიკური საქმიანობის მიმართულებით:

ა) ხელმძღვანელობს სარეზიდენტო და უწყვეტი განათლების პროგრამებს დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორთან ერთად;

ბ) კოორდინაციას უწევს კლინიკებთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობას და ამ საქმიანობის ამსახველი მასალის განთავსებას თსსუ-ის ვებ-გვერდზე.

გ) ზედამხედველობს თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის, თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის, თსსუ-ის აპ. ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის, №1 სტომატოლოგიური კლინიკის, №2 სტომატოლოგიური კლინიკის საქმიანობას.

4. რექტორის და კანცლერის არყოფნის შემთხვევაში ვიცე-რექტორთაგან ერთ-ერთს შეიძლება დაეკისროს რექტორის მოვალეობის შესრულება.

5. ვიცე-რექტორები ხელს აწერენ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში მომზადებული დოკუმენტების პროექტებს.

6. ვიცე-რექტორები ვალდებული არიან შეასრულონ რექტორის ცალკეული დავალებები.

7. ვიცე-რექტორები ანგარიშვალდებული არიან მათდამი დაქვემდებარებული

სტრუქტურული ერთეულების მუშაობაზე.

8. კონტროლს ამ ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

9. ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადდეს თსსუ-ის რექტორის 2010 წლის 22 მარტის #19/01 ბრძანების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები.

10. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს (ზ.ორჯონიკიძე), ვიცე-რექტორებს (ხ.თოდაძე, რ.ბერიაშვილი, ი.კობხრიძე), ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი

სწ.ოხია ნ. ხიზიაძე

